



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 315

“ 25 ” ივლისი 2025 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.202; №01.11.12.019.817; №01.11.12.019.201; №01.11.12.019.821; №01.11.12.019.823; №01.11.12.019.820; №01.11.12.019.039; №01.11.12.019.822; №01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ივლისის №25.1104.1245 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.202; №01.11.12.019.817; №01.11.12.019.201; №01.11.12.019.821; №01.11.12.019.823; №01.11.12.019.820; №01.11.12.019.039; №01.11.12.019.822; №01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01250904448-67 (№№01250981331-67; 01251131829-67; 01251342266-67; 01251434006-67; 0125151103-67; 012516578-67; 01251673935-67; 01251683165-67; 0125181700-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. ფუნქციური ზონის ცვლილებით გამოწვეული ფასთაშორისი სხვაობის გადახდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 25.1104.1245
1 / ივლისი / 2025 წ.

ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 31 მარტის N01250904448-67 (NN01250981331-67; 01251131829-67; 01251342266-67; 01251434006-67; 0125151103-67; 012516578-67; 01251673935-67; 01251683165-67; 0125181700-67) განცხადებით მიმართეს ლევან მოწონელიძემ (პ/ნ 01001057058) და ალექსანდრე მაყაშვილმა (პ/ნ 59001077183) და მოითხოვეს ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი- 23 921 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), მცირე ნაწილზე- საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა N4, N14, N16ა, N16, N6ა; ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხიზანბარის ქუჩა; ქალაქი თბილისი, ქერჩისა და ხევძმარის ქუჩების შემაერთებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.12.019.106; N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.153; N01.11.12.019.809; N01.11.12.019.126; N01.11.12.019.127; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.121; N01.11.12.019.123; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.819; N01.11.12.019.128) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N101 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარებითი დავალება;



პირველ ეტაპზე განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი მოიცავს 9 მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდებით: N01.11.12.019.039; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.202; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.809, ჯამური ფართობით - 23 921 კვ.მ;

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). მიწის ნაკვეთზე განთავსდება 6 შენობა-ნაგებობა;

საპროექტო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი - 23 921 კვ.მ.

მიწის ნაკვეთების რაოდენობა -1;

შენობა-ნაგებობების რაოდენობა - 6 შენობა;

შენობა-ნაგებობების სართულიანობა/სიმაღლე :

შენობა A1-15 სათული/50 მეტრი;

შენობა A2-12 სათული/40.1 მეტრი;

შენობა A3-2 სათული/8 მეტრი;

შენობა A4-13 სათული/42.6 მეტრი;

შენობა A5-14 სათული/47.4 მეტრი;

შენობა A6-13 სათული/42.6 მეტრი;

საპროექტო ფუნქციური ზონირება- საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6);

კ-1= 0.5 (13013 კვ.მ.);

კ-2= 2.5 (60855 კვ.მ.);

კ-3=0,3 (7176.3 კვ.მ.).

საპროექტო არეალში არსებული N01.11.12.019.820; N01.11.12.019.809; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.202; N01.11.12.019.201 მიწის ნაკვეთები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებს, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 27 ივნისის N61-01251782154 წერილით დადგენილია, ზონის ცვლილებით გამოწვეული, გადასახდელი ფასთა შორის სხვაობის ოდენობა.

ვინაიდან, N01.11.12.019.039 მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების ამოქმედებამდე არსებული ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) დაბრუნება და ასევე, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში არსებული ფუნქციური ზონების ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, ხდება სატრანსპორტო ზონის მოხსნა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების

დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 16³ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, N01.11.12.019.039 მიწის ნაკვეთი გათავისუფლებულია მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებისგან.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 28 მაისის N012514896 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 18 ივნისის N0125169378 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01250904448-67

(NN01250981331-67; 01251131829-67; 01251342266-67; 01251434006-67; 0125151103-67; 012516578-67; 01251673935-67; 01251683165-67; 0125181700-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივნისის N25.1100.1237 განკარგულების პროექტი.

3. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 012514896
თარიღი: 28/05/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 23 მაისი №01251434006-67 განცხადება, რომლებიც ეხება ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.: 01.11.12.019.039; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.821 და მიმდებარე ტერიტორია; ფუნქციური ზონა: სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საპროექტო ფუნქციური ზონა: სზ-6) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 3 ძირი (ს.კ.:01.11.12.019.039 - №20; №22; №109) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას არ საჭიროებს.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 6 ძირი (ს.კ.:01.11.12.019.039 - №86-87; №91; №95; №107-108) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 1 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (ს.კ.: 01.11.12.019.039 - №21) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადარიგოს ზემოაღნიშნული 1 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

აქვე, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ნაკვეთი №1-ისთვის (სზ-6) გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი - 33 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, 44 ძირი ელდარის ფიჭვი, 38 ძირი თუთა, 3 ძირი ჩვეულებრივი კაკალი, 10 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 4 ძირი კავკასიური ცაცხვი, 4 ძირი აილანთუსი, 29 ძირი აღმოსავლური ბიოტა, 7 ძირი ქალაღდის ხე, 7 ძირი ჩვეულებრივი ბზა, 1 ძირი კანადური ვერხვი, 1 ძირი წნორი; საპროექტოდ დასარგავი 49 ძირი გრძელფოთლოა იფანი, 49 ძირი

ჰიმალაის კედარი და 49 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი - ჯამში - 328 ძირი) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (ნაკვეთი №1 - სზ-6 = 0.3 = 7176.3 კვ.მ).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01251782154**
თარიღი: **27/06/2025**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი თქვენი 2025 წლის 20 მაისის N16-01251403692 და 16 ივნისის N16-01251673583 წერილების პასუხად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გიგზავნით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 24 ივნისის N004030725 ექსპერტიზის დასკვნას დანართთან ერთად.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ შესაბამისი ფასთა შორის სხვაობის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773390

დანართი: 12 (თორმეტი) ფურცელი.

სოფიო დოლონაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ხელმოწერა/ 
მტკიცება/ 
ელექტრონულად

№ 5003669725
24/06/2025



5003669725

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ
ქონების მართვის სააგენტოს ბატონ სერგო ბირკაძეს

ბატონო სერგო,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N61-01251693440
მომართვის (ბიუროს 2025 წლის 19 ივნისის რეგისტრაციის N8000155025) საფუძველზე, გიგზავნი N004030725
დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 13 ფურცლად;


პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი

ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი



004030725



ექსპერტის დასკვნა № 004030725

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

სტრუქტურა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა: სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

თანამდებობა: სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

მისამართი:

სახელი და გვარი: სერგო ბირკაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ანი მარგველაშვილი / სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 11 წლის სტაჟით. შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი № A-1417

ანა თევდორაშვილი / სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით. შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი № A-1415; შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი № P-0352

მარიამ ბოლოთაშვილი / სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით. შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი № A-0727, შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი № P-0187

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ განიხილება ქალაქ თბილისში, ქ. თბილისში, ქუჩა ხევძმარი №1-ის მიმდებარედ/ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე №01.11.12.019.809, №01.11.12.019.820, №01.11.12.019.821, №01.11.12.019.202, №01.11.12.019.039, №01.11.12.019.817, №01.11.12.019.201, №01.11.12.019.823, №01.11.12.019.822) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად დღეის მდგომარეობით:

• №01.11.12.019.809 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სამრეწველო ზონა I (ს-1);

• №01.11.12.019.820 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე ვრცელდება სამრეწველო ზონა - I (სზ) (31 კვ.მ) და საცხოვრებელი ზონა -6 (18 კვ.მ);



004030725



ექსპერტის დასკვნა № 004030725

- №01.11.12.019.821 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1);
- №01.11.12.019.202 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1);
- №01.11.12.019.817 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1);
- №01.11.12.019.201 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1);

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ზემოაღნიშნული ფუნქციური ზონების საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით ცვლილება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში - „დადგენილება“) 16³ მუხლის მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადახდა, რომელიც შეადგენს მიწის ნაკვეთის არსებული ფუნქციური ზონით საბაზრო ღირებულებასა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონით საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 30%-ს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხოლო, მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე, მიუხედავად მესაკუთრის ცვლილებისა, ფუნქციური ზონის ცვლილებისას გადასახდელი ფასი უნდა განისაზღვროს არსებული ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებისა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 100%-ის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან №01.11.12.019.809, №01.11.12.019.820, №01.11.12.019.821, №01.11.12.019.202, №01.11.12.019.817 და №01.11.12.019.201 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განკარგულ უძრავ ქონებას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის 2025 წლის 28 იანვარს გაფორმებული საექსპერტო მომსახურების შესახებ №72 (სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: №2000131325) ხელშეკრულების თანახმად, გთხოვთ, მოამზადოთ დასკვნა, რომელიც ასახავს ქალაქ თბილისში, ქ. თბილისში, ქუჩა ხევძმარი №1-ის მიმდებარედ/ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ ქვემოთ ჩამოთვლილ მიწის ნაკვეთებზე და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებზე სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ნაცვლად საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელებით გამოწვეულ საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობის 100%-ს.

- ს/კ: №01.11.12.019.809 (ფართობი: 50.00 კვ.მ);
- ს/კ: №01.11.12.019.821 (ფართობი: 35.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობა №01/2 განაშენიანების ფართობი 32 კვ.მ);
- ს/კ: №01.11.12.019.202 (ფართობი: 25.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობა №1 განაშენიანების ფართობი 4 კვ.მ);
- ს/კ: №01.11.12.019.817 (ფართობი: 451.00 კვ.მ);
- ს/კ: №01.11.12.019.201 (ფართობი: 123 კვ.მ);
- ს/კ: №01.11.12.019.820 (ფართობი: 49.00 კვ.მ-დან 31 კვ.მ და შენობა-ნაგებობა №1 განაშენიანების ფართობი 24 კვ.მ).

შემოსვლის თარიღი: 19/06/2025 წ

გასვლის თარიღი: 24/06/2025 წ

დასკვნა

შესაფასებლად წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებები 2025 წლის 23 ივნისის მდგომარეობით იხილეთ დასკვნაზე თანდართულ დანართ №1-ში.

ანი მარგველაშვილი



004030725



ექსპერტის დასკვნა № 004030725

ანა თევდორაშვილი

მარიამ ბოლოთაშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმული იქნა საკითხი დადგინდეს, ქ. თბილისში, ვეგენი ხარაძის ქ. №18-ის მიმდებარედ / ხევძმარის ქ. №1-ის/№18-ის მიმდებარედ არსებული, №01.11.12.019.809, №01.11.12.019.821, №01.11.12.019.202, №01.11.12.019.817, №01.11.12.019.201 და №01.11.12.019.820 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ნაცვლად საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელებით გამოწვეულ საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობის 100%-ს.

ობიექტი 1: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №882025643529; მომზადების თარიღი – 09/06/2025) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი:** №01.11.12.019.809; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, ქუჩა ხევძმარი №1-ის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი:** 50.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „აპკო“, ID ნომერი: 405471412.

ობიექტი 2: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892024406699; მომზადების თარიღი – 20/09/2024) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი:** №01.11.12.019.821; **მისამართი:** ქ. თბილისი, ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი:** 35.00 კვ.მ; **შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** №01/2; **მესაკუთრე:** შპს „აპკო“, ID ნომერი: 405471412.

ობიექტი 3: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892024406036; მომზადების თარიღი – 20/09/2024) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი:** №01.11.12.019.202; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი:** 25.00 კვ.მ; **შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** №1, განაშენიანების ფართი: 4 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „აპკო“, ID ნომერი: 405471412.

ობიექტი 4: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892024405769; მომზადების თარიღი – 20/09/2024) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი:** №01.11.12.019.817; **მისამართი:** ქ. თბილისი, ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი:** 451.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „აპკო“, ID ნომერი: 405471412.

ობიექტი 5: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892024405675; მომზადების თარიღი – 20/09/2024) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი:** №01.11.12.019.201; **მისამართი:** ქ. თბილისი, ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი:** 123.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „აპკო“, ID ნომერი: 405471412.

ობიექტი 6: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892024405821; მომზადების თარიღი – 20/09/2024) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი:** №01.11.12.019.820; **მისამართი:** ქ. თბილისი, ვეგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი:** 49.00 კვ.მ; **შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** №1, განაშენიანება 24 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „აპკო“, ID ნომერი: 405471412.

№01.11.12.019.820 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან დამკვეთის მოთხოვნით შეფასდა 31 კვ.მ.

ექსპერტების მიერ შეფასდა მხოლოდ ვაკანტური მიწის ნაკვეთები.

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე დაყრდნობით შესაფასებლად წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები განეკუთვნებიან სამრეწველო ზონა 1-ს (ს-1), რომლის კოეფიციენტებია: **K1:** 0; **K2:** 0; **K3:** 0.1. თუმცა, დამკვეთის მოთხოვნით მიწის ნაკვეთები შეფასდა, როგორც არსებული ზონის - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1)



004030725

ხელმოწერის
შტამპის
დასტურება

ექსპერტის დასკვნა № 004030725

გათვალისწინებით, ასევე მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6).

შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

